ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-0120015423**
თარიღი: **15/01/2020**
ფური: **5354**

გვერდები: მუნ დიდი დიღომი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405132663
მისამართი: საქართველო, თბილისი, გ.კეკ-სპერიდონის რაიონი, ო. ლორთქიფანიძის ქ., №16, ბ. №9

გადაბეჭდილია: **document.municipal.gov.ge**

ადგილი N10/0119172773-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრორაიონ ,,გვეტაძეში"-ს მიმდებარედ, (ნაკვეთი 36/148) (საკ. კოდი N01.72.14.036.769) 2019 წლის 29 მაისის N4520872 (AR1682253) ბრძანებით მეთანამშრომლეთა არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო,

,,პროექტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის მესამემისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თაობაზე ცნელების მიმწინა ინსპექტირა ჯაძლევით რეკომენდაციის 120 კალენდარული დღის ვადაში გამოსწოროთ ანუ წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ასევე მშენებლობის ნებართვა მეზობელი ტერიტორიის გათვალისწინებით.

შენიშვნა: გაბრდილია კოლონების რაოდენობა და ნაწილობრივ შეცვლილია წაათ განივი კვეთი. ნაწილობრივ შეცვლილია სადარბაზოს კიბის საფეხურების რაოდენობა. შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტი და ნაწილობრივ მახალი.

-2.85 ნიშნულზე ,,2-2" ღერძიან ,,F-E" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მოხოლოთერი კედელი ღიობით.

+0.00 ნიშნულზე ,,F-F" ,,1-1" ღერძების კვეთასთან დამატებით მოწყობილია კამიტალური კედლები ვიტრაჟით, რის გამოც დამატებით შეიქმნილია შიდა ფართი. ,,2-2" ღერძთან ,,F-E" მონაკვეთში გაექმეულია სადარბაზოდან გამასვლელი კარი.

დამატებით განვიმარტავთ, რომ ,,პროექტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის მე-5 ქვეტების მესამემისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამნენებლი სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება".

პატივისცემით,

გიორგი გუგაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

თბილისი, დიდი დიღომი, ასმათის ქ.19

ს.კ01.72.14.036.769

29 მარტი 2020 წელი

მომავალ მაცხოვრებელთა

განმარტება

მოგახსენებთ, რომ ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერმა პირებმა შევიძინეთ (განვადებით წინასწარი ანგარიშსწორებით და სხვა), ზემოთ ხსენებულ მისამართზე ბინები მშენებარე საცხოვრებელ კორპუსში შპს დიდი დიღომი- სგა. ჩვენთვის მოგვეანებით მშენებელი კომპანიისგან, ცნობილი გახდა, რომ საცხოვრებელ კორპუსში ჩრდილოეთ მხრიდან(უკანა ეზოს მხარე) უნდა მოხდეს ეგრეთწოდებული ქვის ფილებით კედლების მოპირკეთება. მოგეხსენებათ დიდ დიღომში ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით მითუმეტეს ჩრდილოეთ მხრიდან ხშირია კოკისპირული წვიმა და ძლიერი ქარი ერთად რაც ჩვენი აზრით გამოიწვევს მოკლე ხანში მოსაპირკეთებელი ქვის ფილების კედელზე მისამაგრებლად გამოყენებული მასალების გამოფიტვას (ამ მხრიდან მზე არ ადგება შენობას). ეს გამოიწვევს ამ ფილების უხეშად ჩამოცვენას, რაც არამარტო დიდ დიღომში, არამედ ქალაქის მაშტაბითაც ხშირად გვინახავს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საცხოვრებელი კორპუსის ჩრდილო ფასადი არის უკანა ეზოში სადაც პროექტის შესაბამისად მწვანე ზონად უნდა დარჩეს, რაც ნიშნავს რომ იქ ჩვენი ბავშვები ითამაშებენ. ასევე უკანა ეზო არ ესაზღვრება არცერთ გზას ან რაიმე სხვა საზოგადოებრივ სივრცეს, რაც ჩვენი აზრით არ ხდის იმის აუცილებლობას, რომ კორპუსის ეს მხარე იყოს ქვის ფილებით ან სხვა ისეთი მასალით მოპირკეთეული, რომელსაც ბეტონის კედელზე მიმაგრება სჭირდება სპეციალური მასალებით ან სხვა. იმის გათვალისწინებით, რომ კორპუსის გარე პერიმეტრზე მაღალი ხარისხის „აეშხის" ბლოკი ეწყობა, საკმარისია კედლები გალესილი და მოხატული იყოს ხანმდეგი საღებავებით.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ეს გარემოებები და მთავარი ფასადის გარდა (ასმათის ქუჩის მხარეს) სადაც ვიზუალური მხარე ჩვენთვისაც საინტერესოა, მინიმალურად იყოს გამოყენებული ზემოთხსენებული მასალებით მოპირკეთება, მხოლოდ ჩანართების და ვიზუალის სახით რაც შეამცირებს რაიმე გაუთვალისწინებელი შედეგის დადგომას. სასურველი იქნება მოპირკეთება მოხდეს მაღალი ხარისხის ხანმედეგი საღებავებით ეგრეთწოდებული „ მიუნხენით", რაც სხვადასხვა სახით თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით უხვად მოიპოვება საქართველოშიც.

[illegible] 29001032540 [illegible]

[illegible] 29001032540 [illegible]

[illegible] 5400 100 9359 [illegible]

[illegible] 5400 100 9359 [illegible]

[illegible] 01025002081 [illegible]

[illegible] 43001004672 [illegible]

[illegible] 01027057277 [illegible]